თავდაცვის უწყების სამოქმედო გეგმა

2020 - 2030

ქართული ჯარი ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის, უსაფრთხოებისა და თავისუფლების დაცვის უმნიშვნელოვანეს გარანტს წარმოადგენს და, შესაბამისად, მისი გაძლიერება ქართული სახელმწიფოს ეროვნული ამოცანაა.

ეროვნული მიზანი

თავდაცვის ძალების მომავალი გაძლიერების სამოქმედო გეგმა 2020-2030 არის, სწორედ, იმ ნაბიჯების ერთობლიობა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან კიდევ უფრო დაახლოებასა და მასში გაწევრიანებას.

პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები

- დავიწყეთ გრძელვადიან და სისტემურ მიდგომებზე დაყრდნობით თავდაცვის პოლიტიკის პრიორიტეტების განხორციელება. უწყებაში გამოვეცით უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები: თავდაცვის სამინისტროს ხედვა-2030, თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა (SDR) 2021-2025, მინისტრის დირექტივები.

- თავდაცვის გრძელვადიანი დაგეგმვის ინსტიტუციონალიზაციის მიზნით, შეიქმნა "თავდაცვის ძალების სამოქმედო გეგმა 2020-2030", რომელიც თავდაცვის ძალების გრძელვადიანი განვითარების ძირითად მიმართულებებს ასახავს და გრძელვადიანი დაგეგმვის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს.

- პერიოდულად გამოვცემთ სამინისტროს საშუალოვადიან და მოკლევადიან დაგეგმვის დოკუმენტებს. წელს სამინისტროს საშუალოვადიანი დაგეგმვის უმთავრესი უწყებრივი დოკუმენტი თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა (SDR) 2021-2025 გამოვიდა.

უსაფრთხოების გამოწვევები

- რუსეთის ფედერაციის მხრიდან სამხედრო აგრესიის შესაძლებლობა;

- რუსეთის მხრიდან ჰიბრიდული მოქმედებებით (მათ შორის, „ბორდერიზაციის“ პროცესით, კიბერშეტევებით, პროპაგანდითა და დეზინფორმაციის გავრცელებით) საზოგადოების ერთიანობის შერყევა და პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის დისკრედიტაცია;

- რუსეთის მცდელობები, დააბრუნოს მეზობლები და, მათ შორის, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები საკუთარ პოლიტიკურ ორბიტაზე ან სულ მცირე, აღკვეთოს მათი დასავლეთთან ინტეგრაცია;

თავდაცვის ძალების ძირითადი პრინციპები

საქართველოს მოუწევს არსებულ უსაფრთხოების გამოწვევებთან ადაპტირება და, შესაბამისად, საკუთარი თავდაცვის პოლიტიკის აღნიშნულ მოცემულობაზე დაფუძნება.

ზემოთ აღნიშნული უსაფრთხოების გამოწვევების გათვალისწინებით, თავდაცვის სამინისტროს მიდგომები ეფუძნება ტოტალური თავდაცვის პრინციპს, რომელიც სამხედრო თავდაცვას, სამოქალაქო თავდაცვასა და საერთაშორისო თანამშრომლობას მოიცავს. ტოტალური თავდაცვის ეფექტიანად განხორციელების შემთხვევაში, სამხედრო აგრესიაზე პასუხის ხანგრძლივობა გაიზრდება და მოწინააღმდეგეს არ ექნება ოკუპაციის განხორციელების საშუალება.

სამოქმედო გეგმის მიზანი

„თავდაცვის ძალების სამოქმედო გეგმა 2030“-ის მიზანია, შევქმნათ ჩვენი ჯარის თანმიმდევრული და უწყვეტი განვითარების წინაპირობა, რათა მივიღოთ მაღალი საბრძოლო შესაძლებლობების მობილური ძალა, რომელსაც ექნება უნარი, ეფექტიანად გაუმკლავდეს ჩვენი სახელმწიფოს წინაშე არსებულ გამოწვევებს და, ამავდროულად, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

სწორედ, ამ მიზნის მისაღწევად შეიქმნა აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს თავდაცვის ძალების სტრუქტურისა და შესაძლებლობების განვითარების ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებს და გრძელვადიან პერიოდში განვითარებისთვის საჭირო რესურსებს. დოკუმენტში მოცემულია, თუ რა შესაძლებლობების განვითარებაა საჭირო, რომ შევძლოთ, სამხედრო თვალსაზრისით, ჩვენზე ძლიერ მოწინააღმდეგესთან ეფექტიანად გამკლავება. ასევე, დეტალურად არის გაწერილი ყველა ის საბრძოლო შესაძლებლობა და სტრუქტურა, რომლის შესყიდვა/შექმნა მნიშვნელოვნად გაზრდის თავდაცვის ძალების საბრძოლო შესაძლებლობებს.

განვითარების მიდგომები

ჩვენი ჯარის განვითარება უნდა დაეფუძნოს უახლეს მიდგომებს. ცენტრალიზებული დაგეგმვა და დეცენტრალიზებული აღსრულება, ამოცანით მართვის მიდგომა, მცირე ქვედანაყოფების მოქმედების ტაქტიკა, ბრძოლის კონვენციური და არაკონვენციური მეთოდების სინქრონიზება - სწორედ, მსგავსი მიდგომები გახლავთ თანამედროვე, ინოვაციური ბრძოლის წარმოების კონცეფციის უმთავრესი ფუნდამენტი.

განვითარების მიდგომები

შემდგომი 10 წლის განმავლობაში ძირითადი პრიორიტეტებია:

- ჯავშანსაწინააღმდეგო შესაძლებლობების განვითარება;
- საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება;
- დაზვერვის შესაძლებლობების განვითარება;
- საარტილერიო შესაძლებლობების განვითარება;
- საინჟინრო შესაძლებლობების (კონტრ-მობილობა) განვითარება..

განვითარების მიდგომები

- ჩვენ უკვე დავიწყეთ თითოეულ პრიორიტეტულ მიმართულებაზე შესაბამისი მუშაობა.
- ჯავშანსაწინააღმდეგო შესაძლებლობების განვითარების მიზნით, მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს ჯავშანსატანკო და მექანიზებული ქვედანაყოფების წინააღმდეგ ეფექტიანი საშუალებების შესყიდვა;
- 2020 წელს უკვე შევიძინეთ და მიმდინარე წელს ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან, აშშ-სთან თანამშრომლობით იგეგმება ჯაველინების დამატებითი პარტიის შეძენა. ასევე, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი შესყიდვების განხორციელება 2025, 2026, 2027 წლებში იგეგმება;

საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება

- ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ კიდევ ერთ მიმართულებას - საჰაერო თავდაცვას.
- წარსულმა გამოცდილებამ ყველას კარგად დაგვანახა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საჰაერო შესაძლებლობების განვითარებას, სამხედრო თვალსაზრისით, ძლიერი მოწინააღმდეგის შესაკავებლად.
- წელს სრულდება ფრანგული კონტრაქტის მეორე ფაზაც. აღნიშნული კონტრაქტის ფარგლებში, თავდაცვის ძალებს უკვე გააჩნია ფრანგული წარმოების საჰაერო თვალთვალის რადარები, მობილური საკომანდო პუნქტი და მისტრალი-3 ტიპის რაკეტა საცეცხლე მანქანებით.
- აქტიურად მიმდინარეობს "რაფაელთან" ხელმოწერილი შეთანხმების განხორციელება, რაც რაფაელის წარმოებული არსებული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების განახლებასა და მოდერნიზებას ითვალისწინებს .

დაზვერვის შესაძლებლობების განვითარება

თანამედროვე ომში კრიტიკულად მნიშვნელოვანია დაზვერვის შესაძლებლობების განვითარება.

ჩვენი განსაკუთრებული ყურადღების საგანი ოპერატიული და ტაქტიკური უპილოტო სადაზვერვო და საბრძოლო საფრენი აპარატების, ასევე, რადიო-ელექტრონული სადაზვერვო და სათვალთვალო შესაძლებლობების განვითარებაა.

ამ ტიპის იარაღის მნიშვნელობა რეგიონულ და გლობალურ კონფლიქტებში გაზრდილია. შესაბამისად, თავდაცვის ძალების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერების კუთხით იგეგმება მნიშვნელოვანი ნაბიჯები, როგორც საშუალებების შესაძენად, ასევე მათი წარმოების შესაძლებლობების შესაქმნელად.

დაზვერვის შესაძლებლობების განვითარება

ხარისხიანი და შესაბამისი მოცულობის მიწოდების უზრუნველსაყოფად, ჩვენ ვიწყებთ ადგილობრივ წარმოებას. აქტიურად ვთანამშრომლობთ და მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ სამხრეთ აფრიკულ და პოლონურ კომპანიებთან, "დელტას" ბაზაზე მცირე და დიდი ზომის უპილოტო საფრენი აპარატების ერთობლივი საწარმოს შექმნასთან დაკავშირებით. ამ მიზნით, წელს ვგეგმავთ ხელშეკრულების გაფორმებას და მომდევნო წლიდან პროდუქციის გამოშვებას.

საარტილერიო შესაძლებლობების განვითარება

- მეოთხე მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს არტილერიის განვითარება.
- ჩვენი არტილერისტების შესაბამისი საშუალებებით აღჭურვა, კიდევ უფრო ძლიერს გახდის ჩვენს საარტილერიო შენაერთებს.
- 2024 წლიდან, პრაქტიკულად, ინტენსიურ რეჟიმში განვავითარებთ ჩვენს შესაძლებლობებს. საარტილერიო შესაძლებლობების განვითარების თვალსაზრისით, იგეგმება, როგორც ქართული წარმოების ნაღმმტყორცნების განვითარება, ასევე უცხოური წარმოების საარტილერიო დანადგარების შესყიდვა.

საინჟინრო შესაძლებლობების განვითარება

- სამხედრო თვალსაზრისით, უპირატესი მოწინააღმდეგის სათანადო გამკლავებისთვის განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს ეფექტიანი კონტრ-მობილობის საშუალებები.
- ჩვენს მე-5 ძირითად პრიორიტეტს საინჟინრო (კონტრ-მობილობის) განვითარება წარმოადგენს.
- ამ მიზნით ვთანამშრომლობთ პარტნიორ სახელმწიფოებთან და 2022-2024, 2026-2027 წლებში ვგეგმავთ ამ კუთხით მნიშვნელოვან გაძლიერებას.

მნიშვნელოვანი მიმართულებები

ძირითადი პრიორიტეტების გარდა, ყურადღება გამახვილდება მნიშვნელოვან მიმართულებებზე:

სპეციალური ოპერაციების ძალების გაძლიერება, მართვისა და კონტროლის, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების განვითარება, ავიაციის, სასწავლო-საწვრთნელი ბაზის, სატრანსპორტო და სამედიცინო შესაძლებლობების გაძლიერება.

ავიაციის გაძლიერება, ქართული სამხედრო მრეწველობის განვითარება

საავიაციო პარკის სრულად აღდგენის პროცესის ფარგლებში, 2020-2021 წელს ჯამში გარემონტდება 4 „სუ-25“, 4 „მი-24“ და 3 „UH-1H“ ირროკეზის ტიპის საფრენი აპარატი. 2020 წელს, თავდაცვის ძალებმა, პირველად ისტორიაში, მიიღო 40-მდე, "დელტას" მიერ წარმოებული სხვადასხვა დანიშნულების ჯავშანმანქანა. 2021 წელს, ასევე დაემატება შვიდი ერთეული ჯავშანმანქანა.

ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის აღდგენითი და სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო დაახლოებით 300 ობიექტზე. დასრულებულია ძირითადი სამხედრო ბაზების სრული რეაბილიტაცია, როგორებიც გახლავთ სენაკი, გორი, კრწანისი, ვაზიანი და სხვა.

ლოჯისტიკური შესაძლებლობების განახლება

თავდაცვის ძალებს უკვე მიღებული აქვს 500 ერთეულამდე მსოფლიო ბრენდების, გერმანული „მანი“, იტალიური „ივეკო“ და ამერიკული „ფორდის“ მარკის სპეციალური დანიშნულების ტექნიკა. ამ პოლიტიკის გაგრძელებით, ჩვენ ეტაპობრივად განვაახლებთ საბჭოთა, მოძველებულ ტექნიკასა და თანდათანობით ჩვენი ქვედანაყოფები უახლესი, მსუბუქი და მაღალი გამავლობის სპეცტექნიკით აღიჭურვება.

სამხედრო მოსამსახურეების ბინებით უზრუნველყოფის პროექტი მახათას მთაზე

- ჩვენ ვაგრძელებთ სამხედროების დაფასების პოლიტიკას. გაიზარდა ხელფასები, გაძლიერდა სამხედროების კვებითი, ჯანდაცვის, განათლების, საბინაო, აღჭურვილობისა და სხვა მიმართულებები. აქტიურად მიმდინარეობს მახათას მთაზე ბინების მშენებლობის პროცესი.

- 1000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე მიიღებს ბინას.

თავდაცვის სამინისტროს ეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკა

• სამინისტროს ფინანსური რესურსების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით, ჯერ კიდევ 2019 წელს, საჭირო საშუალებების შესყიდვის მიზნით დაიწყო უშუალო მომწოდებლებთან კომუნიკაცია, რაც მომავალშიც გაგრძელდება.

„Haix Group“; „LOWA Sportschuhe GmbH“; „Oztek Tekstil Terbiye Tesisleri san. Tic. A.S“; „Yakupoglu Tekstil ve Deri Sanayi Ticaret A.S.“ (YDS); „Vista Outdoor Inc.“ (Blackhawk, Eagle); „Goldeck Textil GmbH“ (CARINTHIA Professional); „3M Poland Sp. zo.o“ (Peltor).

თავდაცვის სამინისტროს ეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკა

- ჩვენი ეფექტური პოლიტიკის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს 2007 წელს აუთვისებელი გრანტების გამოყენება თავდაცვის შესაძლებლობების გასაძლიერებლად. შედეგად თავდაცვის ძალებს დაახლოებით 100 მილიონი ლარი შეემატა.

- ხარჯების ეკონომიისა და გონივრულად გამოყენების მიზნით, "დელტას" ბაზაზე გავმართეთ დელტა ტექსტილი, რომელიც დაფინანსების გარეშე სესხით შევისყიდეთ და მიღებული შემოსავლებით ხდება, როგორც სესხის მომსახურება, ასევე საკმარისი პროდუქციის უზრუნველყოფა.

გრძელვადიანი საერთაშორისო ძალისხმევა

თავდაცვის სამინისტრო გააძლიერებს საერთაშორისო ძალისხმევას საკუთარი შესაძლებლობების გაზრდის, NATO-სთან თავსებადობის ამაღლებისა და მშვიდობისა და უსაფრთხოების საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობის მიზნით.
ნატოსთან თანამშრომლობა

- ნატოსთან თანამშრომლობის ფორმატების და მექანიზმების განვითარება (NGC, ANP, SNGP, PARP, ნატოს პროგრამები)

გრძელვადიანი საერთაშორისო ძალისხმევა

„მეტი ნატო საქართველოში და მეტი საქართველო ნატოში“
ევროკავშირთან თანამშრომლობა

- ევროკავშირთან თანამშრომლობის მექანიზმების გამოყენება (EDA, PESCO, AA, CSDP, EPF)
- 2024 წელს ევროკავშირში ინტეგრაციის ოფიციალური განაცხადის წარდგენა.

თანამშრომლობა აშშ-სთან

- გაღრმავდება აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობა
- უსაფრთხოების სფეროში სამწლიანი ჩარჩო ხელშეკრულება (2019-2022).
- GDRP

გრძელვადიანი საერთაშორისო ძალისხმევა

ორმხრივი თანამშრომლობა

- ორმხრივი პარტნიორობის და თანამშრომლობის ფორმატების განვითარება;
- 2030 წელს მსგავსი ფორმატი ნატოს წევრ ყველა ქვეყანასთან გვექნება;

საერთაშორისო სამხედრო სწავლებებისა და ნატოს წვრთნების ჩატარება და მათში მონაწილეობა

- ნატო-საქართველოს სწავლება, ღირსეული პარტნიორი, მტკიცე სული

გაგრძელდება სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

- გაერო, ეუთო, SEDM, წითელი ჯვარი და ა.შ.

გეგმის განხორციელების შედეგი

მოტივირებული, მოდერნიზებული, ნატოსთან თავსებადი, თანამედროვედ აღჭურვილი და მაღალბრძოლისუნარიანი ჯარი, რომელსაც ექნება უნარი, არსებულ ოპერატიულ გარემოში აწარმოოს სრული სპექტრის ოპერაციები, მოახდინოს ეფექტიანი რეაგირება, მაქსიმალური ზიანი მიაყენოს მოწინააღმდეგეს და ეფექტიანად გაუმკლავდეს ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს.

დარწმუნებული ვარ, თავდაცვის ძალების
"სამოქმედო გეგმა 2020-2030"-ის წარმატებით განხორციელების
შედეგად, ჩვენ მივიღებთ არსებითად გაძლიერებულ, სრულიად
მოდერნიზებულ და თანამედროვედ
აღჭურვილ თავდაცვის ძალებს.

მადლობა ყურადღებისთვის!